და სხვ.) კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს შეაღენს.

ამგვარად, ბიზნესის საფუძვლები, როგორც საბაზისო დისციპლინა, ექსპურება რა მოგბისკენ მიმართულ სამუშაოები საქმიანობის შემცირებას, მისი სიღრმის სუვერენიტეტი არსის ამსახველი ცნებებისა და ზოგადი თეორიული ცოდნის შემუშავებას, ამავდროულად, გვევლინება ბიზნესის მიმართულების უზნეციურ მეცნიერებათა (მეცნევამნიტი, მარკეტინგი და სხვა) თეორიულ ფუნდამენტად სამირავლის საიმდოობა კი, როგორც ცნობილია, მთლიანი შენობის სიმტკიცის საწინარია. სწორედ აქვდან გამოყინულობის ბიზნესის, როგორც საბაზისო დისციპლინის წამყვანი როლი და მნიშვნელობა, ერთი მხრივ, ბიზნესის აღმინისტრირების მომავალი სპეციალისტების მომზადებაში, რამეთუ ბიზნესის საფუძვლების და უფლების გარეშე შეუძლებელია ამ დარგის სპეციალისტად ჩამოყალიბება და, მეორე მხრივ, ბიზნესის მიმართულების კონცენტრაციების (მეცნევამნიტი, მარკეტინგი და სხვ.) შესწავლაში, რამეთუ ბიზნესის ზოგადი თეორიის გარეშე როგორია მისი ცალქეული კონცენტრაციის აიგისება.

### 7. ბიზნესის საუზავლების მეთოდი

ჩეგნ უკვე ვიცით, რას შეისწავლის ბიზნესის თეორია, ანუ რა არის მისი კვლევის საგანი, ახლა უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ, რა ხერხებითა და მეთოდებით შეისწავლის იგი საქართველოს საგანს.

ბიზნესის საჭიროების მეთოდოლოგიური საფუძველი ეკონომიკური თეორიაა. ეს „უკანასკნელი ისე „კვებავს“ ბიზნესის საფუძვლებს კვლევის ხერხებითა და მეთოდებით, როგორც დედა მექრდით - თავის შეიღებს. განასხვეულებ ზოგად (შემცირების დიალექტი) და სისტემური და კერძო

(პოზიტიური და ნორ-მატიული ანალიზი, ასტრაქტია, ანალიზი, სინთეზი და სხვ.) მუთოდებს. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

შემცირების დიალექტიკური მეთოდის გამოყენება იმას ნიშანავს, რომ ბიზნესის სამყაროში ეკონომიკური მოვლენები და პროცესები განხილება ერთ მთლიანობაში, მუდმივ მოძრაობაში, ურთიერთერავშირისა და განუწყვეტელ განვითარებაში. ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის არსებული წინააღმდეგობების გამოვლენა და გადაჭრა მხოლოდ დიალექტიკური მეთოდით არის შესაძლებელი.

შემცირების სისტემური მეთოდით ვარკვევ, თუ რა ელემენტებისგან შედგება ფირმა, როგორც სისტემა, რა შინაგანი (იმანგრებური) თვისებები ახასიათებს მის სტრუქტურულ ელემენტებს, როგორია მათი ემერჯენტული ოვისება (როლი, ფუნქცია). არ უნდა დაგვაყიყვნდეს, რომ ერთი და იგივე იმანგრებური თვისებების ელემენტს შეიძლება ერთ სისტემაში ერთი როლი პქონებებს, ხოლო მეორე სისტემაში მეორე. ვთქვათ, ფეხბურთელი თავის საკლუბო გუნდში შეიძლება დამცველი იყოს, ეროვნულ ნაკრებში კი - თავდამსხმელი, ან კიდევ აგურით შეიძლება როგორც ბოლოის, ისე სასახლის აგება.

სანალიზო მეთოდით ფირმაში, როგორც სისტემაში, შეჭრით ვაითხელობთ მის აღნაგობას, იმას, თუ რა ელემენტებისგან შედგება სისტემა, როგორია მათი იმანგრებური (ჰინაგანი) და ემერჯენტული თვისებები (ფუნქციები), როგორ არიან განლაგებული, როგორია მათ შერის კავშირები, რითი სუნთქვას ფირმა (სისტემა), ანუ რა არის მისი მიზანი. სწორედ ამ მიზნით არის განპირობებული თითოეული ელემენტის როლი. სისტემური მიდგომა გვეხმარება ფირმის საქმიანობა შევიმცნოთ არ ერთი ქუთხით, არამედ მთლიანობაში,

## მეცნიერება

ჭ

უკუკულმხრივ, არა ზედაპირულად, არამედ ღრმად.

პოზიტიური ანალიზი საშუალებას იძლევა ბიუნესში მიმდინარე მოვლენები და პროცესი ისეთი სახით წარმოვსახოთ, როგორებიც არიან რეალურად. ნორმატიული ანალიზი კი უფრო შორს მიდის. არსებული სინამდვილის შესწავლის საფუძველზე იგი ცდილობს გააუმჯობესოს საწარმო სისტემა. კოქათ, როგორ უნდა მოხდეს შემოსავლების სამართლიანი განაწილება, როგორ უნდა ამაღლდეს ფირმის ეფექტიანობა და სხვა.

ნასტევამთან კონტექსტში ისმის კითხვა რატომ მიმართავენ ექიმს ავადმყოფობის დასაღებნად? იმიტომ რომ მან იცის, როგორ უუნდა ციონირებს ჯანმრთელი ორანიზმი და ამიტომ აღვითად შეუძლია დაადგინოს პათოლოგია (ნორმიდან ავადმყოფური გადახდა). იგივე ითქმის კონომიკაში დრმად ჩახედულ მეწარმეზეც. კარგი მეწარმე ისაა, ვინც იცის, რო-გორ უუნდა ციონირებს (რო-გორ უნდა უუნდა ციონირებდეს) იდეალურად გამართული ფირმა. ასეთი ცოდნის გარეშე იგი ვერ მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როგორ უმეტესად სა „დაავადებულ“ საწარმოს, როგორ გამოიყვანოს იგი სტაგნაციიდან.

ბიუნესში, კერძოდ, ეკონომიკური მოვლენების არსის, რისკების ანალიზისას ფართოდ გამოიყენება მეცნიერული ასტრაქციის მეთოდი. ამ მეთოდით, კოქათ, რისკფაქტორების ანალიზისას არსებობის სტაგნა, მყარისგან გამოიყოფა არაარსებითი, მეორებარისებონი. უურადღება მახვილდება იმ ფაქტორებზე, რომელთა მოხდენის ალბორთობა დიდია და თანაც მნიშვნელოვანი ზარალის მომტანი.

ანალიზი გულისხმობს აბსტრაგირების გზით ფირმის როგორც ერთიანი მოქლევის

ქვესისტემებად (საწარმო, ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური ქვესისტემება) აზრობრივ დაყოფას და მათს აეტონომიურ განხილვას. სინთეზი კი შესასწავლი ფირმის ცალკეული ნაწილების (ქვესისტემების) გაერთიანებაა ერთიან მოქლევად.

ინდუსტრიის მეთოდი ითვალისწინებს აზროვნების სელას ფაქტებიდან განხოგადებისკენ (თეორიებისკენ), დედუცია კი აზროვნების სელას ზოგადიდან (თეორიებიდან) რეალური ეკონომიკური ფაქტებისკენ.

შედარების მეთოდი გულისხმობს განსახილვებრივ მოვლენებს შორის (ბაზ-რაზომა ერთი და იგივე სახეობის პროდუქციის მწარმეობებით რომ ფირმის ინდიკირდულური ხარჯები განსხვავდებული) საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენას.

ანალოგიის მეთოდი ითვალისწინებს ცნობილი მოვლენის (ფირმის) ერთი ან რიგი თვისების უცნობზე გადატანა-გაფრცელებას და მათ შორის საერთოს, ანუ იგივერობის დადგენას.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება გულისხმობს ფირმაში მიმდინარე მოვლენების მათემატიკური მეთოდებით, კოქათ, გრაფიკულ ასახვას. მოდელი (მოდელირება) - სინამდვილის (რეალობის) გამარტივებული, იგივერი ასახვაა. მოდელში ასახულია შესასწავლი მოვლენის მხოლოდ ძირითადი, არსებობით თვისებები. რამდენადც უკელა ფირმას მრავალი საერთო მახასიათებელი აქტები, ამდენად, შესაძლებელია ფირმის წარმატების განმსაზღვრელი მოდელების დამუშავება. მიუხედავად ამ მოდელების სიზუსტის არც ისე მაღალი ხარისხისა, მათ მაინც მოაქვთ გარეკულები სარგებლობა, როგორც ფირმის შეგნით, ისე ფირმასა და გარე სამყაროს შორის არსებული როგორც ურთიერთობების შეცნობის თვალსაზრისით.

## თეოლოგიური ეკონომიკა

მდგრადი ეკონომიკურ-ეკოლოგიური ბანკითარების  
ეროვნული კონფერენციის პიგდიური საზუმცვლები



(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ახალი  
ეკონომისტი“ №5, 2007)

ბიბლიის მიხედვით მთელი სამყაროს და მისი გვირგვინის – ადამიანის შემოქმედია უფალი ღმერთი, რომელმაც „შექმნა ცა და მიწა“ (დაბ. I, I), წყალი და ქმედეთი, მცენარეული საფრი და ყოველგვარი სულდამული (დაბ. I, 2-25); და „თქვედ ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩექნეს ხატად, ჩექნეს მხეგვსებად“ და „ეპატრონოს მთელს დედამიწას. და „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ. I, 26-27).

ამქეცხნური ცხოვრების საფუძველი – შრომა უფლის მიერ დადგენილია ადამიანის მოაღვეობად და სასოციოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებად. ადამის და ეკა კურთხევისას ღმერთმა უთხრა მათ: „ინაციონიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაუუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ურინეულს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს“ (დაბ. I, 28) და „ააიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედგმის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ (დაბ. 2, 15).

**გიორგი შიხაშვილი**  
თუ ეკონომიკისა და ბიზნესის უკულტეტის  
პროფესორი, თბილისის სასულიერო აკადემიის  
და სემინარის დექტორი, თბილისის  
ქვაშვეთის ტაძრის სტიქაროსანი

საღმრთო მცნების დარღვევისა და პირველი ცოდვის ჩადენისათვის დასჯილ ადამს უფალი ეუბნება: „ . . . მიწა დაიწყებულოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. კანალი პიროფლიანი ჭამდე ჰურს, ვიღრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტევერი ხარ და მტევრადე მიიქცევი“ (დაბ. 3, 17, 19). „გაუშვა იგი უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან, რომ დაემუშავებინა მიწა, საიდანაც იყო აღებული“ (დაბ. 3, 23). ადამის და ეკა შეიძები სოფლის მეურნეობას მისდევნინ: „აბელი მეცხვარე იყო, კაზნი – მიწის მუშაკი“ (დაბ. 4, 2). მეცხოველეობით იყვნენ დაკავებული აბრამი და ლორი: „ძალზე მდიდარი იყო აბრამი ჯოგითა და ოქრო-ვერცხლით. ...და ლოტსაც, რომელიც აბრამთან ერთად მგზავრობდა, ჰყავდა ცხვარ-ძროხა და პქონდა კარვები“ (დაბ. 13, 2, 5). რაციონალური სასოფლო-სამუშარნეო საქმიანობა დიდად იყო განვითარებული ისრაელში. მაგალითად, მეცე უუზიაჟუმ „ააგო კოშკი უდაბნოშიც და უამრავი ჭა ამოიყვანა, რადგან ბევრი ხარ-ძროხა ჰყავ-

## თელლობიური ეპონომიკა

და დაბლობში და ვაკეზე, მიწისმუშაკნი და მეცნიერები კი მოებში და ქარმელში ჰყავდა, რაღაც მიწის მოყვარული იყო" (2 ნუშტ. 26, 10).

ბიბლია მოგიწოდებს მცნარეების და  
ცხოველების დაცვა-გაფრთხილებისაკენ:  
„თუ ღიღდხან გექნება შემორტყმული  
ალება ქალაქისთვის მის დასამარცხე-  
ბლად და ასაღებად, ნუ გაანალგურებ  
მის ხეებს, ცულს ნუ აღმართავ მათზე,  
რადგან თუერ ჭამ მათ ნაყოფს, არც  
უნდა მოჭრა. რადგან მინდორში მდ-  
გარი ხე ეაცი ხომ არ არის, რომ გაგმ-  
ცალოს და ციხე-სიმაგრეში შეაფაროს  
თავი?“ (რჯლ. 20, 19); „ნუ აუკრავ პირს  
ხარს დევნის დროს“ (რჯლ. 25,4); „მარ-  
თალი ზრუნავს თავისი პირუტყვის  
სიცოცხლეზე, ბოროტეულთა გული ძი  
სასტიკია“ (იგავ. 12,10).

ზემოაღნიშვნულიდან ნათლად ჩანს,  
რომ უკვე პირველ ადამიანებს, მათ  
შემდგომ თაობებს და მთლიანად კა-  
ცობრიობას ამქეყნიური საქმიანობის  
უმთავრეს მიმართულებად ღმერთმა  
შრომა, სამეურნეო საქმიანობა დაუ-  
წესა. ამასთანავე, განსაკუთრებულად  
არის მითიოებული ადამიანის მხრი-  
დან რაციონალური ბუნებათსარგე-  
ბლობის, დედამიწის და ცოცხალი  
სამყაროს მართვა-გამგეობის, პატრონო-  
ბის, დამუშავების და დაცვის აუცი-  
ლებლობა.

ბიბლიის მრავალუჯეროვანი სამეურნეო-  
ეკოლოგიური თემატიკა ასახულია საღოთო  
კანონმდებლობაში, წინასწარმეტყველოა და  
ბიბლიურ პატრიარქთა საქმიანობაში, მიმ-  
ღინარე ამბეჭასა და მოვლენებში, იესო  
ქრისტეს სასწაულებში, ქადაგებებში,  
საუბრებში და იგავებში, აგრძოვე ქრისტეს  
მოწაფეთა ცხოვრებასა და შემოქმედებაში

ტბილერიადეს, ანუ გალილეის სამყვანოს გადამა იქსომ სასწაულებრივად დაპურა ხუთი ათასი მშეერთ ადამიანი. ეს შემთხვევა

ევგა ეკონომიკურ-ეკოლოგიური თვალსასწრისით განსაკუთრებით იმით არის ადასანი შავი, რომ დაპურების შემდეგ იკსომ თავის მოწაფეებს უთხრა: „აკრიფეთ ნარჩენები, რომ არაფერი დაიკარგოს“ (იოან. 6, 12). მოწაფეებმა აკრიფეს და გააგესეს ოორმეტი კალათი ქერის პურის ნატეხებით, რაც ჭამის შემდეგ დარჩა. მაცხოვრის ამ მოწოდებასა და მოწაფეთა ქმედებაში ასახულია ოორმიული დებულება და პრაქტიკული გზა შრომის პროდუქტების დაფასება-გაფრთხილების, უნარჩენო წარმოება-მოხმარებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობისათვის. ეს კი, თანამედროვე გაგებით, მდგრადი განვითარების უზნდამენტურ პარადიგმას წარმოადგენს. თანამედროვე პრაქტიკული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ეს დევთაებრივი სწავლება თითქმის სრულიად არის უგულებელყოფილი, რის გამოც უაღრესადაა გამწვავებული ლოკალური, რეგიონული თუ გლობალური დონის ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა დაძლევა მხოლოდ ბიბლიური სამეურნეო-ეკოლოგიური მოძღვრების გაახრიება-გამოუწენების მეშვეობით არის შესაძლებელი.

სამეურნეო საქმიანობაში, კერძოდ, მშენებლობაში კონომიურ-ეკოლოგიური კომპეტენტურობის აუცილებლობაზე მიგვათოთებს იგივე ქრისტეს იგავე გონიერი და უგონო მშენებლების შესახებ (მათ. 7, 24-27; ლუკ. 6, 47-49). აქ მაცხოვარი გახსაჭავლის: „ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტკებს და ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ გონიერ კაცს, რომელმაც პლეზე დააშენა თავისი სახლი. და მოვიდა წეიმა, მოვარდენ მდინარენი, დაქროლეს ქარებმა და ეკეთნენ ამ სახლს, მაგრამ ვერ დასცეს, ვინაიდან პლეზე იყო დაფუძნებული. და ვევლას, ვინც ისმენს ჩემს სიტკებს, მაგრამ არ ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ

## თეოლოგიური ეპონომიკა

უგუშურ კაცს, ომელმაც ქვიშაზე  
ააშენა თავისი სახლი. და მოვიდა  
წვიმა, მოვარდნენ მდინარენი,  
დაქროლეს ქარებმა და ეპვეთნენ ამ  
სახლს და დასცეს; და დიდი იყო  
დაკმა მისი“ (მათ. 7, 24-27).

ეს იგავი გვასწავლის, რომ გრინიერი,  
კუნიომიტურ-ეკლესიოურად კომეტენტური  
მშენებდების მიერ ქლდეს, ანუ  
აკლესიურად შეარ საძირკელზე დაფუძნებ-  
ული სახლი მდგრადია ექსტრემალური  
გარემო პირობების მიმართ, ხოლო ქვემაც  
ანუ ეკლესიოურად არამყარ საძირკელზე  
უგონო მშენებდელთა მიერ დაშენებული  
სახლი — არამდგრადი და დაცემისათვის  
განწირებული. ეს კი საზოგადოების მდგრა-  
დი განვითარების უძირითადესი კანონზომ-  
ერება.

მნელი შესაბნეეფი არ არის, რომ ფუნ-  
დამქნებალისტი ტექნიკურატების მიერ ამ  
პილოტური სიბრძნის უცულებელოფიცის გამო  
თანამკეროვე მსოფლიოში განვითარების  
არამდგრადობის სინგრძომად გამჭვიერდი,  
რაც ჩვენი საერთო, გლობალური სიციალ-  
ურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური სახლის გარ-  
დუვალი დაცვით გვემუქრება.

იგავში სორბლისა და დერძლის შესახებ მაცხოვარი გვასწავლის: „ცათა სასუფაველი მხეგვისა ქაცისა, ოომელმაც დათესა კეთილი თუხლი თავის ყანაში. ხოლო როდესაც ეძინა ხალხს, მოვიდა მისი მტერი, დვარძლი ჩათესა ყანაში და წავიდა. და როდესაც აღმოცენდა ჯველილი და თავთავი დაისხა, მაშინ გამოჩნდა დვარძლიც. მივიღენ მონები ყანის პატრონთან და უთხრეს: ბატონო, შენ ხომ კეთილი თესლი დათესე ყანაში; საიდნან აქვს დვარძლი? ხოლო მან უთხრა მათ: მტერმა ქნა ეს. მონებმა კი უთხრეს: თუ გნებავს, მივალო და გავმარგლავთ ყანას. ხოლო მან თქვა: არა, რათა მარგელისას დვარძლს ჯველიც არ

მიაყოლოთ. აცადეთ, ერთად იზარდონ მკამდე; ხოლო მკისას უუბრძანებ მო-  
მკალთ: თავდაპირე კელად შეკრიბეთ  
დგარძლი, ძნებად შეკარით და ცეცხ-  
ლი წაუკიდეთ, ხორბალი კი შეინახ-  
ეთ ჩემს ბეგლეში” (მათ. 13, 24-30). ამ  
იგაგმი გადმოცემულია სოფლის მეურნეო-  
ბის პროდუქციის წარმოების სრული პრო-  
ცესი; აღწერილია ხორბლის დათესვა,  
ანთრიპლოგიურ-ეკოლოგიური ფაქტორის  
მავნე ზეგავლენა ყანის მდგრამარეობაზე,  
ჯევილის მოკლა-გაფრთხილება, მოსავლის  
აღება-დაბინაგება, ხელმძღვანელის და ხე-  
ლქვეითების ურთიერთობა.

მოსავლისა და ნამეტის მიღება  
გრინიული სამეურნეო საქმიანობიდან  
უფლისმიერი კურთხევით თვით ბუნებრივ  
პროცესებში არის ჩადებული. მაგალითად,  
მოესავზე იგავში ნათექვამია, რომ „...  
გამოვიდა მოესავი თესვად. ხოლო  
თესვისას ზოგი მარცვალი გზის პი-  
რას დავარდა, და მოფრინდებნ ფრინ-  
ველები და აკენეეს ისინი. ზოგიც დ-  
ჭიან ადგილას დავარდა, სადაც ბლო-  
მად არ იყო მიწა, და მალე აღმოცენ-  
და, კინაიდან ნიადაგი არ იყო ძრმა.  
მაგრამ ამოვიდა თუ არა მზე, დაჭენა,  
და რადგან უესვი არ ქერნდა, გახმა.  
ზოგი ეიღეკ ეკალ-ბარდებში ჩაცივ-  
და, და ამოვიდა ეკალი და ერთიანად  
მოაშორ კველა. ხოლო ზოგი პოხიერ  
ნიადაგზე დაცა და ნაყოფიც გამ-  
ოიდო: ზოგმა ასი, ზოგმა სამოცი და  
ზოგმაც ოდათი“. (მათ. 13, 3-8).

დათესებისა და აღმოცენების შესახებ  
იგავში მაცხოვარი გვეუძნება: „ . . . ღმ-  
რთის სასუფეელი იმასა ჰყავს, კაცი  
რომ თესლს ჩათესავს მიწაში, და სბ-  
ინავს, და დგება დღისით თუ ღამით,  
და არე იცის, როგორ აღმოცენდება  
და იზრდება თესლი. რადგანაც მი-  
წას თავისთავად გამოაქვს ნაყოფი:  
ჯერ დერო, შემდეგ თავთავი, ბოლოს,

## თეოლოგიური ეპონომიკა

სავსე მარცვალი თავთავეში. და ოცნება დამწიფებება თავთავი, მაშინევე გაგზავნის ნამდებლს, კინაიდან დამდგარა მქა” (მარქ. 4, 26-29). აღსანიშნავია, აგრეთვე იგ-ავი მდოგვის მარცვალზე, ომედლშიც ნათქვამია: „ . . . ცათა სასუჯველი მსგავსია მდოგვის მარცვლისა, ომედლიც აიღო კაცმა და დათესა თავის ყანაში; ეს მარცვალი ყოველნაირ თელზე მცირეა, მაგრამ ოცნა ამოვა, ყველა მწვილიზე დიდი ხდება და ხედ იქცევა, ისე რომ მოფინავენ ცის ფრინველები და მის ტოტებზე იძულებენ” (მათ. 13, 31-32).

უნდა აღინიშნოს, რომ იგავები იქსო ქრისტეს ქადაგების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს. იგავებით საუბარი გვხვდება ძეველ აღთქმაშიც, მაგრამ საოცარ სილამაზეს, სიბრძნეს და სრულყოფილებას მან მაცხოვრის მეტყველებაში მიაღწია. სწავლების ასეთი ურმა იმისათვის არის საჭირო, რომ ადამიანებმა ადვილად იგაიგონ დათაებრივი სიბრძნე.

თავისი იგავების ცხოვრებისეული და სამეურნეო-მმართველობითი მაგალითების მეშვეობით იქსო ქრისტე გვიჩვენებს სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური საქმიანობის დათვივსულიერ საფუძვლებს და ცათა საუჯველის მიღწევის გზებს.

ბიძლიის მიხედვით ყოველმა ადამიანმა ზნეობრივი მოვალეობები უნდა ადასრულოს შემდეგი დანიშნულებით:

1) მოვალეობები დმერთის მიმართ;

2) მოვალეობები მოყვასის, ანუ სხვა ადამიანების მიმართ;

3) მოვალეობები დმერთის მიერ შექმნილი კოცხალი და არაკოცხალი სამყაროს (ბუნების) მიმართ;

4) მოვალეობები საკუთარი თავის მიმართ.

ყველა აღნიშნული მიმართულება პირდაპირ უკავშირდება ადამიანის ზრუნვას

ეკოლოგიური ჰარმონიულობისათვის, რადგან ჩვენი რუდუნების მეშვეობით ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებისას: 1) საორი კეყოფით დმერთს, 2) არ დაავადდება მოყვასი, 3) არ დაზიანდება ბუნება, 4) არ დასხეულდება თვითონ ეონერეტული პიროვნებაც. ასეთი მიზანმისა საფუძველს უკრის ეკოლოგიური სწორის, როგორც უმნიშვნელოვანების ეთიკური მიმართულების ჩამოყალიბებას და თანამედროვე პირობებში მის საყოველთაო გაერცელება-გამოყენებას.

ბიძლიაში აღწერილი სამეურნეო საქმიანობის ოცნების და პრაქტიკული დებულებები ეკონომიკური და მთლილგიური ჰარმონიულების პარმონიული ურთიერთ შესამების აუცილებლობას გვიქადაგებენ, რაც უაქტობრივად თანამედროვე მდგრადი განვითარების კონცეფციის დათვისულიერ თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ-ისტორიულ საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს მდგრადი განვითარების ოცნების საფუძვლის შექმნა, თავის მხრივ, ის ორგანული პირობაა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მეთოდოლოგიურ წანამდგარს სახოგადოების პარმონიული ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარებისა და მართვისათვის. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია უახლოეს დროში შემუშავდეს საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც უაქტობრივად შეასრულებს სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ეროვნული მოდელის დანიშნულებას და მთაწერიების განვითარების დათვისულიერებას, ტრადიციულობას, მდგრადობას, პარმონიულობასა და პიროგრესულობას ლოგადურ, რეგიონულ თუ გლობალურ სივრცეში ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

# საქართველოს სიახლეები

საჩართველოს უნივერსიტეტის  
ბრძანება №159

2007 წლის 1 მარტი ქ. თბილისი

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ყოველკვართალური  
დეკლარაციის ფორმისა და მისი შემსრულებელის დასის  
ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

( სსმ 13.03.2007 № 33 მუხ. 401)

რეგისტრირებულია

საქართველოს იუსტიციის

სამინისტროში

სარეგისტრაციო კოდი

200. 010.000.22.033.010.043

“სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-12 პუნქტების საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 ივნისის № 39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ” ქვეპუნქტის შესაბამისად, გვრანებ:

1. დამტკიცდეს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ყოველკვართალური დეკლარაციის ფორმა (დანართი №1) და მისი შევსების წესის შესახებ ინსტრუქცია.

2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ყოველკვართალური დეკლარაციის IV ნაწილი - “ლატარიის მოწყობაზე მოსაკრებლის გაანგარიშება” და მისი შევსების წესი (ინსტრუქციის მე-5 მუხლი) ძალაშია, „ლატარიის, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული კრონებით დატარიის ფონდის მიერ ორგანიზებულ ტენდერში გამარჯვებული პირის გამოვლენამდე.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 23 აგვისტოს 1032 ბრძანება “სათამაშო ბიზნესის (გარდა ლატარიის) გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შევსების წესის შესახებ” ინსტრუქციისა და “სათამაშო ბიზნესის (გარდა ლატარიის) გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის ფორმის” დამტკიცების თაობაზე.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის 894 ბრძანება “სათამაშო ბიზნესის გადასახადის დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ”.

5. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. აღექსიშვილი

# საქართველოს სიახლეები

## 06სტრუქცია

სათამასათამაშო პიზენის მოსაკრებლის ყოველ  
ყოველკვართალური დეკლარაციის შევსების ზესის შესახებ  
დეკლარაციის შევსების ზესის შესახებ

### შეხელი 1. ზოგადი ნაწილი

1. ინსტრუქცია „შემუშავებულია “სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-12 პუნქტების საფუძველზე და განსაზღვრავს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ყოველკვართალური დეკლარაციის შეტყინების წესს.

2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის დეკლარაცია წამახალისებელი გათამაშების, სისტემურ-დეკლარაციის ფორმის თამაშობის და ლატარიის მომწყობი (ორგანიზაციონი) პირების მიერ შესაბამის საგადასახადო ორგანოებს წარედგინება და მოსაკრებელი გადაიხდება ყოველკვართალურად არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვეს 15 რიცხვისა.

3. დეკლარაციის ყველა გვერდზე მიეთითება გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი.

### შეხელი 2. დეკლარაციის I ნაწილის შეგვების წესი

1. სტრიქონში “დეკლარაციის სახე” ჩაიწერება ციფრი “1”, თუ დეკლარაცია გასული საგადასახადო პერიოდისაა, ხოლო ციფრი - “2”, თუ შესწორებული (დაზუსტებული) დეკლარაციაა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში წილადის შემდგე უჯრაში ჩაიწერება იმ საგადასახადო პერიოდის დეკლარაციის ნომერი რომლის დაზუსტებაც ხდება. მაგალითად, თუ დეკლარაცია წარმოადგენს მე-3 კვარტალის დაზუსტებულ დეკლარაციას, ჩანაწერს აქვთ 2/3, სადაც 2 ნიშნავს, რომ დეკლარაცია არის არა პირველადი არამედ დაზუსტებული, ხოლო 3 ნიშნავს, რომ აღნიშნული დეკლარაციით ხორციელდება მე-3 კვარტალის შესწორება;

2. სტრიქონში “საანგარიშო კვარტალი” - იწერება იმ კვარტალის რიგითი ნომერი ციფრებით (1-დან – 4-მდე) და კვარტალი – სიტყვიერად, რომლის დეკლარაციასაც იგი წარმოადგენს;

3. სტრიქონშე “საგადასახადო ორგანოს დასახელება” - მიეთითება ტერიტორიული საგადასახადო ორგანოს სრული დასახელება, რომელსაც წარედგინება დეკლარაცია;

4. სტრიქონშე “გადასახადის გადამხდელი” - მიეთითება გადამხდელის სრული დასახელება მისი სადამუშავებლივ ღორუქებების მიხედვით. დასახელებაში დათინური ტრანსპორტული არსებობისას იგი ასევე აღინიშნება. ინდ. მეწარმის შემთხვევაში მიეთითება მისი სახელი და გვარი სრულად (შემოკლების გარეშე), პირადობის დამადასტურებელი ღორუქების შესაბამისად;

5. დეკლარაციის უტარულობა და სისრულე დასტურდება გადამხდელის ან მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. ამასთან, მიეთითება სახელი და გვარი სრულად და ხელმოწერის თარიღი;

6. იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაციის წარმოდგენა ხდება საწარმოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, დეკლარაციასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს საწარმოს ორგანიზაციის მიერ გაცემული მინდობილობა, ხოლო ფიზიკური პირის უფლებამოსილი

## საკანონმდებლო სიახლეები

პირის წარმომადგენლის მიერ – ამ ფიზიკური პირის მიერ გაცემული და ნოტარიულად დადასტურებული მინდობილობა.

**მუხლი 3. დეკლარაციის II ნაწილის შევსების წესი**

დეკლარაციის II ნაწილი იქსება საგადასახადო ორგანოს მუშაյის მიერ და აღინიშნება დეკლარაციის წარდგენის შესახებ მონაცემები, კერძოდ:

ა) დეკლარაციის წარდგენის ფორმა - ფოსტითაა გაგზავნილი, თუ წარდგენილია პირადად;

ბ) დეკლარაციის გვერდებისა და დანართების რაოდენობა;

გ) დეკლარაციის წარდგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), თუ ფოსტითაა გაგზავნილი

- ფოსტაში ჩაბარების თარიღი;

დ) დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის ნომერი;

ე) მიეთითება საგადასახადო ორგანოს იმ მუშაյის სახელი და გვარი (გარკვევით), რომელიმაც ჩაიბარა დეკლარაცია თანდართულ ღორუქებით ერთად და სათანადო აღნიშვნა გააკეთა II ნაწილში, რაც დასტურდება მისი ხელმოწერით.

**მუხლი 4. დეკლარაციის III ნაწილის შევსების წესი**

1. დეკლარაციის III ნაწილი იქსება იმ გადამხდელების მიერ, რომლებიც ახორციელებენ წამახალისებელ გათამაშებას და/ან სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობებს და განისაზღვრება სათამაშო ბიზნესის (გარდა ლატარიებისა) კვარტალური მოსახურებლის ოდენობა.

2. მე-2 სვეტში შეიტანება წამახალისებელი გათამაშებისა და/ან სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობის დასახელება. იმ შემთხვევაში, თუ წამახალისებელი გათამაშების მომწყობი პირი ერთდროულად ორგანიზებას უკრთხებს რამდენიმე გათამაშებას, დეკლარაციაში უნდა აისახოს თითოეული წამახალისებელი გათამაშება ცალ-ცალკე.

3. მე-3 სვეტში ანალოგიური წესით შეიტანება მხოლოდ წამახალისებელი გათამაშების (გათამაშებების), საპრიზო ფონდების ოდენობა (დარებში).

4. მე-4 სვეტში შეიტანება წამახალისებელი გათამაშების (გათამაშებების) პერიოდის დასასრული.

5. მე-5 სვეტს ავსებს მხოლოდ წამახალისებელი გათამაშების მომწყობი პირი და მასში უერტანება მონაცემები საანგარიში კვარტალში გათამაშებული საპრიზო ფონდის შესახებ.

6. მე-6 სვეტს ავსებს მხოლოდ წამახალისებელი გათამაშების მომწყობი და უთითოებს გაუთამაშებელი საპრიზო ფონდის დარჩენილ თანხას.

7. მე-7 სვეტში შეიტანება წამახალისებელ გათამაშებაზე (%-ში) და/ან სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე (ლარებში) აღილობრივი თვითმმართველობის ორგანიების მიერ დადგენილი მოსაკრებლის განაკვეთებით.

8. მე-8 სვეტში შეიტანება მოსაკრებლის თანხა (ოდენობა) ლარებში. სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობის შემთხვევაში მოსაკრებლის თანხა ტოლია მე-7 სვეტში აღნიშნული თანხისა (სვ.7=სვ.8). ხოლო, წამახალისებელი გათამაშების შემთხვევაში იგი განისაზღვრება საანგარიში კვარტალში გათამაშებული საპრიზო ფონდის (თანხის) გამრავლებით მოსაკრებლის განაკვეთზე (სვ.5Xსვ.7). ამასთან, ბოლო საანგარიშო კვარტალში მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება საპრიზო ფონდის ნარჩენი ლირებულების (თანხის) გამრავლებით მოსაკრებლის განაკვეთზე (სვ.5+სვ.6)Xსვ.7.

## საკანონმდებლო სიახლეები

9. მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელის მოწერით დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

მუხლი 5. დეკლარაციის IV ნაწილის შეგვების წესი

1. დეკლარაციის IV ნაწილი იქსება იმ გადამხდელების მიერ, რომლებიც ახორციელებენ ლატარიების მოწყობას.

2. მე-2 სევერში: “ლატარის დასახელება” - გათამაშების მიხედვით მიეთითება ლატარიის სახელწოდება.

3. მე-3 სევერში: “საპრიზო ფონდი” - მიეთითება ლატარი(ების) საპრიზო ფონდ(ების მდენობა (ლარებში).

4. მე-4 სევერში: “გათამაშების პერიოდის დასასრული” - შეიტანება ლატარიის (ლატარიების) გათამაშების პერიოდის დასასრული.

5. მე-5 სევერში შეიტანება საანგარიშო კვარტალში ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების რაოდენობა (ლარებში).

6. მე-6 სევერში ჩაიწერება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დადგენილი განაცვეთები.

7. მე-7 სევერში შეიტანება მოსაკრებელის თანხა (მდენობა) ლარებში.

8. მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელის მოწერით დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

9. გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების თანხობრივი გაანგარიშება ხდება სრულ ლარებში. ამ მიზნით საგადასახადო ვალდებულება 1 ლარამდე ნულდება. დანართი №1

# საკანონმდებლო სიახლეები



ქადაგი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
არა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

გვ. 1  
მარტი

საკანონმდებლო სიახლეების გადაცემის მიზანით  
დაუკავშირდა

## ნიუკორდა I.

არა დაუკავშირდა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	დაუკავშირდა დაუკავშირდა	<input type="checkbox"/>
-----------------	--------------------------	--------------------------	-------------------------	--------------------------

მარტ

საკანონმდებლო სიახლეების გადაცემის მიზანით  
დაუკავშირდა

საქართველოს სამართლი  
საქართველოს სამართლის მინისტრი

მიუხედობული არის

საქართველოს  
საკანონმდებლო სიახლეების მიზანით დაუკავშირდა, მიმღებელი არის სამართლის მინისტრი

მიუხედობული არის, კონტაქტი, ფინანსურისათვის

საქართველოს მინისტრი

საქართველოს მინისტრი, მიმღებელი არის სამართლის მინისტრი და მიუხედობული არის სამართლის მინისტრი

საქართველოს მინისტრი

მიუხედობული

მიუხედობული

მიუხედობული

მიუხედობული

საქართველოს მინისტრი

მიუხედობული

## ნიუკორდა II

საკანონმდებლო მინისტრი, მიმღებელი დაუკავშირდა მიზანით  
(აქტის საფუძვლისას არ იყო მიღები)

საქართველოს მინისტრი

მიუხედობული

ქადაგი

მარტი

არა

№6(7), 2007 წელი

ચૂંઠાણ મા


କ୍ଷେତ୍ରପାତ୍ରଙ୍କ ଶକ୍ତିଶୀଳିନ୍ ଯୁଦ୍ଧକୁ ଅନୁମତିଦେଇଲୁବୁ ହୋଇଗରେଣ୍ଟଲାର ପ୍ରାଚୀନତାରେଇବୁ

ଦେବତାଙ୍କର ପାଦମୁଖ ଉପରେ ଉଚ୍ଛଵିତ ହେଉଥିଲା ଏହା କିମ୍ବା କିମ୍ବା

•  
•  
•

#### **Author info**

Page 4



საკანონმდებლო სიახლეები



ასტ.

--	--	--	--	--	--	--

დგ. 5

--	--	--	--	--	--	--

ასტ.

--	--

ნაწილი IV

დაუკარისტოს მიწმომაზე მოსაკრებლის გამარჯვებულება:

200 წლის ————— კვირკველი

N	დაცული მიწის ფასი	მიწის ფასი	მიწის ფასი	მიწის ფასი	მიწის ფასი	მიწის ფასი	მიწის ფასი
1	2	3	4	5	6	7	8

ჩემი კუთხით დაუკარისტოւ და სისტემურ გადატრანს:

აღმას მისამართ  
და მისამართ  
მისამართ

მისამართი

მისამართი

--	--

--	--

--	--	--	--

აქტუალური ინდიკატორი

# საგანონებლო სიახლეები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №149

2005 წლის 17 მარტი ქ. თბილისი

„ორგანიზაციისათვის საკველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების შესის და რეესტრის წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

(სსმ III, 22.03.2005 წ., № 32 მუხ.307)

რეგისტრირებულია

საქართველოს

იუსტიციის სამინისტროში

სარეგისტრაციო ქოდი

190.040.000 22.033.007.152

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუ-3, 30-ე და 32-ე მუხლების საფუძველზე,  
ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია „ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების წესის და რეესტრის წარმოების შესახებ“ (თანდართულ დანართებთან ერთად).
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქ. ჩეჩელაშვილი

## საკანონმდებლო სიახლეები

0 6 ს ჟ რ უ ძ ი ა

„ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის  
მინიჭების ზესის და რესტრის ზარმოვების შესახებ“

მოცემული ინსტრუქცია შემუშავებულია საგადასახადო კოდექსის მე-3 და 32-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად და განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლით განსაზღვრული ორგანიზაციებისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების და რესტრის წარმოვების წესს.

მუხლი 1. ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების საფუძველი

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციად ითვლება ორგანიზაცია, რომელსაც ამავე კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად მინიჭებული აქვს „საქველმოქმედო ორგანიზაციის“ სტატუსი.

2. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი ენიჭება ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია საქველმოქმედო საქმიანობის (საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად) განსაზღვრულიერებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქვს საქველმოქმედო საქმიანობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება და აქმაყოფილებს საგადასახადო კანონმდებლობით დაგენილ მოთხოვნებს.

3. დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის ძირითად მიზნებს, არ ცვლის მის საქველმოქმედო ხასიათს.

მუხლი 2. ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებისა და ჩამორთმევის უფლებამოსილება

1. ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებას ახორციელებს საგადასახადო ორგანო ორგანიზაციის ადგილმდებარების (საგადასახადო აღრიცხვის) მიხედვით, მოცემული ინსტრუქციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

2. ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის ჩამორთმევას ახორციელებს შესაბამისი საგადასახადო ორგანო სარდგინებით საქართველოს ფინანსთა მინისტრი, შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემით.

მუხლი 3. ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების პროცედურები

1. ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭება ხდება ორგანიზაციის წერილობით განცხადების საფუძველზე (დანართი №1), რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

- ა) ორგანიზაციის სახელწოდება;
  - ბ) საიდენტიფიკაციო ნომერი;
  - გ) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
  - დ) ძირითადი მიზნები;
  - ე) უკანასკნელი წლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;
  - ვ) ხელმძღვანელი ორგანოს და ფილიალების მისამართები;
2. ორგანიზაციის განცხადს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების შესახებ უნდა ერთოვლეს:
- ა) ორგანიზაციის წესდების ასლი;

## საკანონმდებლო სიახლეები



- ბ) სამოქალაქო რეგისტრაციის მოწმობის ასლი;
- გ) უკანასკნელი წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც უნდა შეიცვალეს საქმიანობის (პროექტების, მომსახურების) აღწერას;
- დ) დამოუკიდებელი ოუდიტორის მიერ დადასტურებული უკანასკნელი წლის ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგბაზარალის ანგარიში).

3. საგადასახადო ორგანო ერთი თვის ვადაში იღებს მოტივირებულ გადაწყვეტილებას შემოსული განცხადების თაობაზე. თუ ამ ვადაში გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, სტატუსი ჩაითვლება მინიჭებულად. ორგანიზაციის სტატუსი ენიჭება უგადოდ. სტატუსი ძალაში შედის მინიჭებისთანავე.

4. ორგანიზაციებისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებას ახორციელებენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის საგადასახადო ინსპექციები, რისთვისაც აწარმოებენ საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიან რეესტრს (დანართი №3), რომლის მონაცემები სრულად შეიტანება კომპიუტრულ ბაზაში არსებულ ფანჯარაში “საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიანი რეესტრი”. საგადასახადო ინსპექციები ყოველკვარტალურად, არა უგვიანეს კვარტალის მომდევნო თვის 10 რიცხვისა ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებულ საქველმოქმედო ორგანიზაციათა ერთიანი რეესტრის ამონაწერს.

5. საგადასახადო ორგანოს რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან განუშარტონ გადამხდელს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მიღებისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით განსაზღვრული მოთხოვნები, მიიღონ გადასახადის გადამხდელის განცხადება ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების შესახებ, შეამოწყონ წარმოდგენილი დოკუმენტების სისრულე, შეაღინონ მოხსენებით ბარათი და ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ქრთად 10 დღის ვადაში წარუდგინონ საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელობას. საგადასახადო ინსპექციის უფროსი შესაბამისი ანალიზის (და/ან საჭიროების შემთხვევაში გადამოწმების) შემდგომ იღებს მოტივირებულ გადაწყვეტილებას (გამოსცემის ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტის) სტატუსის მინიჭების შესახებ (უარის შემთხვევაში ორგანიზაციას გზავნება მოტივირებული, წერილობითი პასუხი). დადგენითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ორგანიზაციის მონაცემები შეიტანება საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიან რეესტრში და გაიცემა ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების დამადასტურებელი მოწმობა (დანართი №2). გადაწყვეტილება ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების შესახებ და მოწმობა ორგანიზაციის უფლებამოსილ პირს გადაეცემა პირადად საგადასახადო ინსპექციის (ან შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის) მიერ, ან ეგზაქტუალური დასტურების გზავნილით;

6. ორგანიზაციას, ორმედსაც მიენიჭა საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი, გადაეცემა სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, სადაც აღინიშნება:

- ორგანიზაციის სრული სახელმწოდებელი;
- ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
- გ) სტატუსი;
- დ) ხელმძღვანელი ორგანოს მისამართი;

# საქანონმდებლო სიახლეები

ე) სტატუსის მინიჭების თარიღი;

ვ) ორგანიზაციის (გადამხდელის) საიდენტიფიკაციო ნომერი.

მუხლი 4. ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის გაუქმების პირობები

1. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი უქმდება:

ა) ორგანიზაციის ინიციატივით;

ბ) სტატუსის ჩამორთმევის შემთხვევაში.

2. საქველმოქმედო ორგანიზაციას სტატუსი ჩამოერთმევა, თუ:

ა) დაარღვია საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ბ) შეუწყდა სამოქალაქო რეგისტრაცია.

3. საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების დარღვევის გამო სტატუსის ჩამორთმევის შემთხვევაში საქველმოქმედო ორგანიზაცია ვალდებულია დააბრუნოს სტატუსიდან გამომდინარე საგადასახადო შედაგათხებით მიღებული სარგბელის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებული იყო საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების დარღვევასთან. ამასთან, საგადასახადო ინსპექციის მიერ ჩამოერთმევა ორგანიზაციაზე გაცემული საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა.

4. საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელსაც ჩამოერთვა სტატუსი, უფლება აქვს მისი აღდგენის თაობაზე განცხადება შეიტანოს სტატუსის ჩამორთმევის მიზეზის აღმოფენირიდან არა უადრეს 1 წლისა.

მუხლი 5. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მქონე ორგანიზაციების დამატებითი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

1. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მიღებასთან ერთად ამ ორგანიზაციებს ეკისრებათ საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დამტკიცებულებულები და პასუხისმგებლობა. კერძოდ, საქველმოქმედო ორგანიზაციამ შესაბამის საგადასახადო ინსპექციას ყოველი წლის პირველ პრილამდე უნდა წარუდგინოს:

ა) ბოლო წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს საქმიანობის (მათ შორის ეკინომეტრის) აღწერას;

ბ) ფინანსური ანგარიში მიღებული შემოსავლების შესახებ, წყაროების და გაწეული ხარჯების მიზნობრიობის მითითებით;

გ) დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ბოლო წლის ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში).

2. ორგანიზაცია უზრუნველყოფს მისი ბოლო წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიშის და ფინანსური დოკუმენტების (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) გამოქვეყნებას პერიოდულ პრესაში და ხელმისაწვდომობას ყელა დაინტერესებული პირისათვის.

3. საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიან რეესტრში შეტანილი ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში ორგანიზაცია ვალდებულია ცვლილებიდან ერთი თვეს ვადაში წერილობით აცნობოს შესაბამის საგადასახადო ინსპექციას (განკოფილებას, შესაბამის რაიონში რეგისტრაციას პასუხისმგებელ პირს) ამ ცვლილების შესახებ.

4. მოცემული მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ანგარიში, აგრეთვე მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები

# საქანონმდებლო სიახლეები

**საგადასახადო ინსპექციების განყოფილებების ან შესაბამის რაიონში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირების მიერ 10 დღის ვადაში წარდგენილ უნდა იქნეს შესაბამის საგადასახადო ინსპექციაში აღრიცხვის, ანალიზისა და საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების მიზნით.**

5. დაუშვებელია საქველმოქმედო ორგანიზაციის მოგების, აქტივების განაწილება ორგანიზაციის წევრებს, დამფუძნებლებს, გამგებისა და კურატორიუმის წევრებს შორის.

6. საქველმოქმედო ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემდეგ მისი ქონება უფლებამოსილი ორგანოს ან პირის გადაწყვეტილებით გადაცემა მსგავსი მიზნების მქონე საქველმოქმედო ორგანიზაციას, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში - სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციას. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მქონე სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

**მუხლი 6. საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიანი რეესტრი და მისი წარმოების წესი**

1. საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიან შემაჯამებელ რეესტრს აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საგადასახადო დეპარტამენტის საგადასახადო ინსპექციების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე.

2. რეესტრში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ორგანიზაციის სახელწოდება;

ბ) საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ) ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს, ფილიალების და წარმომადგენლობების მისამართი;

დ) ძირითადი მიზნები;

ე) სტატუსის მინიჭების თარიღი;

ვ) მმართველობის უმაღლესი ორგანოს ყევლა წევრის ენაობა (სახელი, გვარი), მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და სერია, პირადი ნომერი და მოქალაქეობა.

3. საგადასახადო ორგანო ვალდებულია ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებიდან (აგრეთვე, მე-5 მუხლის მე-3 მუნქტით გათვალისწინებული ცვლილების მიღებიდან) არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიან რეესტრში (კომპიუტერულ ბაზაში) შეიტანოს შესაბამისი მონაცემები.

4. ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების შემდეგ გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) მონაცემებში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა - "საქველმოქმედო ორგანიზაცია".

5. საქველმოქმედო ორგანიზაციების რეესტრი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყევლა დაინტერესებული პირისათვის.

განცხადება ორგანიზაციისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების თაობაზე, დანართი №1

საქველმოქმედო ორგანიზაციის მოწმობა. დანართი №2

საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიანი რეესტრი. დანართი №3

# საკანონმდებლო სიახლეები



დანართი №1

გ ა ნ ც ხ ა ღ ე პ ა

ორგანიზაციისათვის საძველომძღვან  
ორგანიზაციის სფაცუსის მინიჭების თაობაზე

(განცხადების წარმომდგენი ორგანიზაციის სახელწოდება)

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

(ორგანიზაციულ - სამართლებრივი უორმა)

(ძირითადი მიზნები)

(უკანასკნელი წლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები)

(ხელმძღვანელი ორგანოს მისამართი)

ფილიალების ან/და წარმომადგენლობის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ორგანიზაციის ხელმძღვანელი  
(ან შესაბამისი უფლებამოსილი პირი)

/ხელმოწერა/

“ . . . ” “ . . . . . ” 200 წელი

ტ

# საქანონმდებლო სიახლეები



დანართი №2

საქველმოგებლო ორგანიზაციის

მ ღ ჭ მ ღ პ პ პ

(ორგანიზაციის სახელწოდება)

(ორგანიზაციის (გადამხდელის) საიდენტიფიკაციო ნომერი)

(ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა)

(სტატუსი)

(ხელმძღვანელი ორგანოს მისამართი)

(სტატუსის მინიჭების თარიღი)

ი კონკრეტული  
ახალი კონკრეტული

მოცემული მოწმობის მფლობელი არის ორგანიზაცია, რომელსაც საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად მინიჭებული აქვს სტატუსი “საქელმოქმედო ორგანიზაცია”.

საგადასახადო ინსპექციის  
უფროსი

/ხელმოწერა/

გ.ა.

## საპანონიანებლო სიახლეები

დანართი №3

## საქველმოქმედო ორგანიზაციების ერთიანი რეესტრი

03060803060

## ჩვენი აკტორები

ჭ

სოსო მასურაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
ასოცირებული პროფესორი

დავით ნარგანია

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,  
თსუ პროფესორი.

უშანგი სამადაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
ასოცირებული პროფესორი

კობა სოხაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
ასოცირებული პროფესორი

გიორგი შოჩაშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტის პროფესორი, თბილისის  
სასულიერო აკადემიის და სემინარის დექტორი,  
თბილისის ქვაშვეთის ტაძრის სტიქაროსანი

ახალი ეკონომიკისი

ელგუჯა ხოპრიშვილი

გერმანიის ქ. პოტსდამის უნივერ-  
სიტეტის დოქტორანტი.

გამომცემლობა „ლოი“ გთავაზობთ:  
საბამომცემლო და  
კოლიბრაფიულ მომსახურებას

საქონლები  
ინტერიერი



თბილისი, ფურცელაძის ქ. №13  
ტელ.: 822 984-982 / 822 990-576 / 855 277-554  
ელ.ფოსტა: karchava-l@myoffice.ge  
ვებ.გვერდი: www.loi.ge

ბ ა მ ი ლ ი რ ი ტ ი



## ექონომისტი

აქ წაიკითხავთ შემდეგ სიახლეებს:  
ეკონომიკა და ბიზნესი;  
აღრიცხვა და გადასახადები;  
ბანკები და ფინანსები  
ხელმოწერის ღირებულება;

3 თვით - 24 ლარი	9 თვით - 72 ლარი
6 თვით - 48 ლარი	12 თვით - 96 ლარი

თბილისი, ფურცელაძის ქ. №13  
ტელ.: 822 984-982 / 822 990-576 / 855 277-554  
ელ.ფოსტა: karchava-l@myoffice.ge  
ვებ.გვერდი: www.loi.ge

**မြန်ပါ „လူပုဂ္ဂနိုင်ဟပ်“**

**ဆောင်ရွက်-ကဲလှေသိမာသီပါ  
ကျော်-စွားနှုန်းမော်**

**ပုဂ္ဂနိုင်မော်**

**အနောက်မော်**

**လှုပိုင်း-လှုပိုင်းမော်**

**၀၆၀၉၀၈၀. ၉၃၄၇၄၇၁၉၀၈ ဒာမခွဲၦ၀၉၀၉၆၁၄၁။**

**ဖြော်လှုပိုင်း၏ ၃၅-၄၇-၄၇; ၈၉၉ -၉၀-၂၀-၉၁**

၁၄၃/၁၃

၃-၀၀